ზღვარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

N1(17)2026

რედაქტორი

დეკანოზი გიორგი წეროძე

სარედაქციო საბჭო

თამარ გრძელიძე
ბექა მინდიაშვილი
ზურაბ ჯაში
არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა

ტექსტის რედაქტორი

თეა ქიტოშვილი

დიზაინი

ელენე მინდიაშვილი

© 2026 ყველა საავტორო უფლება დაცულია

სარჩევი

4 ΟΜΟΟΥΣΙΟΣ: მთავარი თეოლოგიური ტერმინის ფორმაცია
ენდრიუ ლაუთი

10 ნიკეის ინტერპრეტაცია: ისტორიული და თანამედროვე კონტექსტები
ჯონ ბერი

25 ნიკეის პირველი კრება: ოქროს სტანდარტი თუ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა?
იოანე ქრისავგისი

48 კრებითობის ევოლუცია
კირილე ჰოვორუნი

59 სიბრძნის ნაღიმი: ქრისტიანული იდენტობა, უთანხმოება და ძალაუფლება
ლეო დ. ლეფებური

66 წმინდა ანტონი დიდი - სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელი
მიშელ ვან პარესი

73 ნიკეის კრება რეფორმისტული ეკლესიის პასტორის თვალით
სუზან დერბერი

79 მოელვარე ანდამატი: მოციქულებრივი მამის, წმინდა ათანასეს მწყემსმთავრული ხედვა
ეპისკოპოსი კირილე

88 ნიკეის კრების ასახვა აღმოსავლეთის ასირიულ ეკლესიაში: თეოლოგიური და ღინგვისტური მოსაზრებები
მარ ავა III

94 ისა იბნ მარიამი (იესო), როგორც ფითრა და მისი მისტიკური განზომილება
მარკო დემიკელისი

102 ნიკეის პირველი მსოფლიო კრების სხვადასხვა ასპექტი
გოჩა ბარნოვი

110 მიტროპოლიტ იოანე ზიზიულასის დიალოგის კონცეფცია და მისი პოლიტიკური მნიშვნელობა დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში
ვლადიმერ ნარსია

2025 წელს ქრისტიანულმა სამყარომ – იკუმენემ – აღნიშნა ნიკეის პირველი კრებიდან 1700 წლის იუბილე. სწორედ ნიკეისა (325) და კონსტანტინოპოლის პირველი კრების გადაწყვეტილებებს ეფუძნება ქრისტიანული ტრადიციების მიერ მიღებული რწმენის სიმბოლო – მრწამსი, რომელიც თეზისური ფორმით აყალიბებს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად დებულებებს. ნიკეის კრებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ძის ღვთაებრიობასა და მამასთან მისი თანაარსობის საკითხზე, ხოლო კონსტანტინოპოლის კრებამ უფრო სრულად ჩამოაყალიბა სწავლება სულიწმიდის შესახებ და ერთგვარად დაასრულა სამების დოგმატური ფორმულირება. წინამდებარე კრებული აერთიანებს სტატიებს, რომლებიც მრავალმხრივად განიხილავს ნიკეის კრების თეოლოგიურ, ისტორიულ და ეკლესიოლოგიურ მნიშვნელობას. მასში განხილულია სწავლება მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობისა და განსხვავებულობის შესახებ; კრების მიერ უარყოფილი ქრისტოლოგიური შეხედულებები; იმპერატორ კონსტანტინეს პოლიტიკური და ინსტიტუციური როლი კრების მოწვევასა და მის წარმატებით დასრულებაში; აგრეთვე ის საკითხი, თუ როგორ დაამკვიდრა დოგმატურმა ენამ წმინდა წერილში პირდაპირი სახით არარსებული ტერმინოლოგია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასევე კრების მიერ მიღებული საეკლესიო კანონების მნიშვნელობასა და მათ გავლენას ეკლესიის განვითარებაზე. ამავე დროს, ნიკეის კრების მემკვიდრეობა არაერთ კითხვასა და საკამათო საკითხს მოიცავს. კრებამ ზოგიერთი თეოლოგიური და საეკლესიო პრობლემა ღიად დატოვა, ხოლო ზოგი გადაწყვეტილება უფრო მეტად იმპერიული ერთიანობისა და სტაბილურობის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე სიღრმისეული დოგმატური ანალიზით. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ეპოქაში, როდესაც კრიტიკული აზროვნება, შეკითხვების დასმა და ისტორიული პროცესების მრავალმხრივი გააზრება ბუნებრივ ინტელექტუალურ მოთხოვნილებაა, ნიკეის კრება კვლავაც განსაკუთრებული ინტერესის საგანია. დღევანდელი პერსპექტივიდან ნიკეა შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ისტორიული მოვლენა, არამედ როგორც ქრისტიანული თვითშეგნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მცდელობა, რომელმაც საერთო სარწმუნოებრივი ენის შექმნით შეძლო ქრისტიანთა ერთობის საფუძვლის ფორმულირება. ამ მნიშვნელობას კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ 381 წლის კონსტანტინოპოლის კრებამ ნიკეაში შემუშავებული მრწამსი ხელახლა დაადასტურა, მცირედი შევსებებით განავრცო და მას საეკლესიო ავტორიტეტის საბოლოო სტატუსი მიანიჭა.ამგვარად, ნიკეის კრება, როგორც ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლოს საფუძველი, მიუხედავად შემდგომი ინტერპრეტაციებისა და თეოლოგიური განმარტებებისა, დღემდე ქრისტიანული ეკლესი(ებ)ის რწმენის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ქვაკუთხედად რჩება.

სარედაქციო საბჭო

ΟΜΟΟΥΣΙΟΣ: მთავარი თეოლოგიური ტერმინის ფორმაცია

ენდრიუ ლაუთი

აღმოსავლური ქრისტიანული თეოლოგიის პროფესორი (ემერიტუსი), დარემის უნივერსიტეტი, მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი, ბრიტანეთი

325 წელს ნიკეაში გამართულმა კრებამ ეკლესიას უანდერძა მრწამსი, ოცი კანონი და რამდენიმე სხვა რეგულაცია, რომელთა შორის აღსანიშნავია განჩინება აღდგომის თარიღის თაობაზე. ეს უკანასკნელი შემოგვინახა ნიკეის სინოდის მიერ ეგვიპტელებთან, ხოლო იმპერატორკონსტანტინეს მიერ 'ეკლესიებთან' გაგზავნილმა წერილებმა. ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი დანატოვარი მრწამსია, რომელიც მოიხსენიება როგორც 'ნიკეისმრწამსი', თუმცა, ფაქტობრივად, 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულ მეორე მსოფლიო კრებასაც მოიაზრებს. გაურკვეველია, აქვს თუ არა პირდაპირი კავშირი დღეს ჩვენთვის ცნობილ რწმენის სიმბოლოს 325 წლის კრებაზე (თუ 381 წლის კრებაზე) აღიარებულ მრწამსთან. თავად მრწამსის დებულება 'ერთარსი', უფრო სწორად, 'ერთარსი მამისა' ყველაზე ხშირადაა განხილული და განმარტებული. ადრეული ცნობები, რომლებიც ნიკეის სიმბოლოს გარშემო ატეხილი ბრძოლის თაობაზე წმ ათანასეს (გარდ. 373 წელს) მონათხრობს ეფუძნება, კრების მომდევნო პერიოდს წარმოაჩენს, როგორც ნიკეის სიმბოლოსთან დაპირისპირებულს: ათანასე, იმ დროისთვის ალექსანდრიის პაპი, ნიკეის მოწინააღმდეგეებს ებრძვის, რაც საბოლოოდ მომდევნო თაობის თეოლოგების, ე.წ. 'კაპადოკიელი' მამების თაოსნობით, 381 წლის კონსტანტინოპოლის კრებაზე ნიკეის მართლმადიდებლობის გამარჯვებით დასრულდა. თუ საქმის ვითარებას ასე წარმოვსახავთ, გამოდის, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის მერე თავიდან იქნა აღმოჩენილი ის, რაზეც ნიკეის კრების მონაწილე მამები 325 წელს შეთანხმდნენ. საბოლოოდ, 'ერთარსი'/homoousion მართლმადიდებელი ქრისტიანობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა, რაც ვერ გაიგივდება იმ აზრთან, რომ ნიკეის მამების რწმენა 381 წელს თავიდან იქნა აღმოჩენილი და მხარდაჭერილი. 'ერთარსის' დამკვიდრების გზა არაა ისეთი სწორხაზოვანი, როგორც ამას აღწერენ ხოლმე. ამჯერად სამ შეკითხვაზე გავცემ პასუხს: 1. რას გულისხმობდნენ ნიკეის კრების მონაწილე მამები გამოთქმაში 'ერთარსი მამისა', უფრო ზუსტად კი, რატომ დაუმატეს ეს ფრაზა რწმენის სიმბოლოს? 2. რაც არ უნდა ეგულისხმათ ნიკეის მამებს, როგორ ესმოდათ ეს ფრაზა მათ, ვინც მეორე მსოფლიო კრების გადაწყვეტილებები ნიკეის რწმენის ახლიდან დამტკიცებად მიიჩნია? 3. რას ვგულისხმობ მე, რო-

დესაც ვამბობ, რომ, საბოლოოდ, 'ერთარსი' მართლმადიდებლობის მახასიათებელი/განმასხვავებელი ნიშანი გახდა?

რატომ დაუმატეს რწმენის სიმბოლოს 'ერთარსი' ?

კრების ტრადიციული აკადემიური შეფასება დიდ ყურადღებას უთმობს კორდობის ეპისკოპოს ოსიუსს (გარდ. 359) და მას მიაწერს სამების შესახებ დასავლური რეფლექსიის გავლენას კრების გადაწყვეტილებებზე. ამას ამბობს, მაგალითად, დოგმების ისტორიის ავტორი ტიქსერონი: 'ერთარსი' „პირდაპირი თარგმანია ლათინური consubstantialis/ 'თანაარსის', რომელიც ტერტულიანემ (გარდ. 240) დასავლეთს ბევრად ადრე გააცნო".[1] თუმცა, ტერტულიანე consubstantialis-ს მხოლოდ გნოსტიკურ სწავლებასთან მიმართებით იყენებდა; მას consubstantialis არ გამოუყენებია სამების თეოლოგიის განხილვისას, მაგალითად, ნაშრომში Adversus Praxean. აღმოსავლეთში 'ერთარსს' უფრო მკაფიოდ გამოხატული გნოსტიკური წინაპირობები უძღვის, ვიდრე სხვა ისეთი წინაპირობა, რომლის გამოყენებაც დასაშვები იქნებოდა ნიკეის სიმბოლოში. შესაძლოა, ის ორიგენეს (გარდ. 254) გამოეყენებინა, თუმცა ნიკეის მიმდევრების თეოლოგიური ლექსიკონის ნაწილი არ იქნებოდა. ასე მოხდა მარცელოს ანკვირელის (გარდ. 374) შემთხვევაში, 'ერთარსს' მისთვის გამოკვეთილად საბელიანური ტონალობა ახლავს, რაც უცნობია ათანასესთვის, რომელმაც ამ ტერმინის გამოყენება ნიკეიდან ოცდახუთი წლის შემდეგ დაიწყო: 350 წლამდე მამისა და ძის ურთიერთობაზე საუბრისას ის ამჯობინებდა გამოთქმას 'მსგავსება არსის მიხედვით'/ ὅμοιος κατ᾽ οὐσίαν. მეორე მხრივ, 'ერთარსი' ნიკეის სიმბოლოში განცალკევებულად არ დგას; მრწამსის მეორე მუხლი ადასტურებს რწმენას ერთ იესო ქრისტეში, ძე ღვთისაში, მამისაგან შობილში, ანუ მამის არსისგან მხოლოდშობილში. 'ერთარსი', პრინციპში, ამ უკანასკნელი ფრაზის განმარტება გამოდის. ხოლო როგორ გვესმის ის, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ სიტყვაში 'არსი'/ οὐσία; თუმცა, ნიკეის კრების თანამედროვეებისგან ამის თაობაზე არანაირი მინიშნება არ მოგვეპოვება.

ამას გარდა, აღსანიშნავია რამდენიმე შესაბამისი მომენტიც: უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ არიოზი (გარდ. 336) უარყოფდა 'ერთარსის' ძესთან მიმართებაში გამოყენებას, რადგან მას მატერიალისტურად აღიქვამდა, როგორც მამისა და ძის არსის გაყოფას.[2] მეორეც, ევსევი კესარიელის (გარდ. 339) მიხედვით, 'ერთარსი' მრწამსში კონსტანტინეს (გარდ. 337) დაჟინებით იყო ჩართული. ეს ორი დაკვირვება გვიბიძგებს, ახსნა საეკლესიო პოლიტიკის კუთხით ვეძიოთ: კონსტანტინეს ემუქრებოდა გაყოფის საშიშროება, რადგან არიოზი მისმა ეპისკოპოსმა, ალექსანდრე ალექსანდრიელმა დაგმო, ხოლო გაყოფა შეურიგებლობით დასრულდებოდა. არიოზის დაგმობის გარეშე ეკლესიას სერიოზული გახლეჩა ელოდა, რასაც თავად ალექსანდრე ალექსანდრიელი ითავებდა. 'ერთარსის' რწმენის სიმბოლოში ჩართვამ განაპირობა არიოზის დაგმობა და ალექსანდრიის მძლავრი ეპარქიის მხარდაჭერის მოპოვება, რომლის მეტოქეობასაც მხოლოდ რომი თუ გასწევდა (იხილეთ ნიკეის პირველი კრების მეექვსე კანონი). ამგვარ ახსნას მხარს უჭერს ამბროსი მილანელის (გარდ. 397) მონათხრობი De Fideში, კერძოდ, ევსევი ნიკომიდიელს (გარდ. 341) ეკისრებოდა 'ერთარსის' კამათში შემოტანის პასუხისმგებლობა, და „როდესაც მისი წერილი ხმამაღლა წაიკითხეს, მამე-